**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

20 ნოემბერი 2024

N 2-848

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-916 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

2024 წლის 13 ნოემბერს სამინისტროს მომართა შპს „ნემერა“-მ და ითხოვა შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R448A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/ HFO-1234YF/ HFO-1234ZE) 400 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შეცვლა R449A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/HFO-1234YF) 397 კგ-ის ოდენობით.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შპს „ნემერა“-ს 2024 წლის 13 ნოემბრის N34214 განცხადების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 5 დეკემბრის N2-916 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ნემერა“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 205206588) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000075) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 0.012 კგ;
- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 0.0085 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 5 236.9 კგ;
- R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 0.0051კგ;
- R449A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/HFO-1234YF) - 397კგ;

- დიფთორმეთანი (HFC-32) – 0.050 კგ;
- R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 1 610 კგ;
- ქლორდიფთორმეთანი (HCFC-22) – 13 900 კგ.“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნემერა“-ს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნემერა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ნასარიძე

მინისტრის მოადგილე